### დამტკიცებულია/Approved by

შპს მერიდიან მერითაიმ თრეინინგ სენთერის დირექტორი/ The Director of Meridian Maritime Training Centre LLC ირაკლი შარაზიბე/ rakh Sharandze

> შინაგანაწესი Company Policy ND2-O3





### სარჩევი

### Content

1.	ზოგადი დებულებები/ General provisions	4
2.	თავი I. შრომისა და დასვენების დრო, შვებულება, მივლინება და შრომის ანაზღაურება	6
	2. შრომითი რეგულაციები/ Chapter I. Working and rest time, vacation, business trip and remuneration	
	2. Labor regulations/	
3.	შრომითი ურთიერთობის პრინციპები და დისკრიმინაციის ცნება/Principles of labor relations and the concept of discrimination	7
4.	შინაგანაწესის შესრულების კონტროლი/ Control of the implementation of the bylaws	8
5.	ადმინისტრაციული პერსონალის სამსახურში მიღების ზოგადი წესი/General rules for hiring administrative staff	9
6.	წინასახელშეკრულებო ურთიერთობა და ინფორმაციის გაცვლა შრომითი ხელშეკრულების დადებამდე/Pre-contractual relationship and exchange of information before concluding an employment contract;	9
7.	ცენტრთან თანამშრომლობის გამომრიცხვი გარემოებები/Circumstances excluding cooperation with the center	10
8.	შრომითი ხელშეკრულება/Labor contract	10
9.	უფლება-მოვალეობები/Rights and duties	11
10.	სტაჟირეზა და გამოსაცდელი ვადა/ internship and probationary period	16
11.	ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი/Overtime pay rules	17
12.	სხვა სამუშაოზე გადაყვანის წესი/ Procedure for transferring to another job	18
13.	შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა/ Termination of the employment contract	19
14.	შრომითი ურთიერთობის შეჩერება/Suspension of labor relations	23
15.	სამუშაო დრო და შესვენების დრო/ Working time and break time	24
16.	ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი/ duration of paid and unpaid leave and the manner of granting	26
17.	დეკრეტული შვებულება/ maternity leave	28
18.	მივლინება/business trip	28
19.	შრომის ანაზღაურებისა და სამივლინებო თანხების გაცემის დრო და ადგილი/ Time and place of payment of wages and mission funds	29
20.	დაზღვევა/ Insurance	30
21.	სამუშაოს პირადად შესრულების მოვალეობა და სხვა დასაქმებულის მოვალეობის შესრულება/ the procedure for reporting absences at work, 21. The duty to perform work personally and to perform the duty of another employee	30
22.	სამსახურში გამოუცხადებლობის შეტყობინების წესი/ The procedure for reporting non-appearance at work	30

ND2-O3

მალაშია/Valid from: 01.09.2021

რევიზიის თარიღი/Revision Date: 19.02.2024

რევიზია/Revision: N3



WEIRA	IN 10 MANAGE SHIPS SAFELY	1
23.	სამსახურის გაცდენა საპატიო მიზეზის გამო/ Absence from work due to an honorable reason	30
24.	დროებითი შრომისუუნარობა/ Temporary disability	31
25.	უქმე დღეები/ Holidays	32
26.	თამბაქოს\ელექტრონული სიგარეტის მოხმარების წესი და ადგილი/ The manner and place of tobacco/electronic cigarette consumption	32
27.	პერსონალურ მონაცემთა დაცვა. დასაქმებულთა პირადი საქმე და ცნობის გაცემა/ Protection of personal data. Personal file of employees and issuance of notification	32
28.	შრომის დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ზოგადი ინსტრუქციები/General instructions for labor protection and fire safety	33
29.	ეთიკისა და ქცევის ნორმები/ Norms of ethics and behavior	33
30.	სამუშაოს შესრულებისას დადგენილი შეზღუდვები/established restrictions in the performance of work	34
31.	დასაქმებულთა ჩაცმის სტილი/ Dress style of employees	36
32.	ცენტრის მიერ დადგენილი ზოგადი სტანდარტები/ General standards established by the center	37
33.	თანამშრომელთა ინფორმირება სამსახურებრივ საკითხებზე სამართლებრივი აქტების გამოცემის დროს/Informing employees on official issues during the issuance of legal acts	37
34.	წახალისება/ Encouragement	37
35.	დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები და დისციპლინური წარმოება/ Types of disciplinary responsibility and disciplinary proceedings	38
36.	განცხადების/საჩივრის განხილვა/ Consideration of application/complaint	39
37.	დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წესი/ Rules for imposing disciplinary responsibility	41
38.	პროფესიული სტუდენტის/მსმენელის უფლებები და ვალდებულებები/Rights and obligations of a professional student/trainee	42
39.	ინტერესთა კონფლიქტი, კონკურენციის აკრძალვა/Conflict of interest, non-competition	43
40.	კონფიდენციალურობა/ Privacy	47
41.	ინტელექტუალური საკუთრება/ intellectual property	48
42.	ცენტრიდან გათავისუფლებული პირების ვალდებულებანი და პასუხისმგებლობები/ Obligations and responsibilities of persons released from the center	50
43.	ცენტრის პერსონალის მატერიალური პასუხისმგებლობის ნორმები/ Norms of material responsibility of the center's staff	50
44.	კომუნიკაცია მასმედიასთან/ Communication with mass media	51
45.	შინაგანაწესისა და ცენტრის მისიის/მიზნების დასაქმებულთათვის გაცნობა/ Acquaintance of the employees with the bylaws and the center's mission/goals	52
46.	განცხადების/საჩივრის განხილვის წესი/ Application/complaint review procedure	53
47.	ცვლილებები და დამატებები/ Changes and additions	53
48.	შინაგანაწესის ძალაში შესვლა/Entry into force of the by laws	53
49.	გავრცელების არეალი/ Distribution area	55



წინამდებარე შინაგანაწესი წარმოადგენს ნორმატიული ხასიათის დოკუმენტს და სავალდებულოა შესასრულებლად კომპანიის ყველა თანამშრომლისთვის. შინაგანაწესი არეგულირებს კომპანიის ფუნქციონირების ცალკეულ სამართლებრივ საკითხებს/ This rule is a normative document and is mandatory for all employees of the company. The rule regulates certain legal issues of the company's operation.

### თავი I ზოგადი დებულებები

#### Chapter I General provisions

#### 1. ზოგადი დებულებები

- 1.1. "მერიდიან მერითაიმ თრეინინგ სენთერ" - ის შინაგანაწესი (შემდეგში "ცენტრი") (შემდეგში "შინაგანაწესი") შემუშვებულია საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს შრომის კოდექსი"ადმინისტრაციული საქართველოს ზოგადი კოდექსის, საქართველოს ორგანული კანონის "შრომის უსაფრთხოების შესახებ", საქართველოს კანონის განათლების "პროფესიული შესახებ", მოქმედი საკანონმდებლო აქტებისა და ტრენინგ ცენტრის წესდების შესაბამისად.
- 1.2. წინამდებარე წესდების მიზნებისათვის, ტერმინი ცენტრი მოიცავს საზღვაო საწვრთნელ და სერტიფიცირების ცენტრსა და კოლეჯ მერიდიანს.
- 1.3. წესდება ვრცელდება და სავალდებულოა შესასრულებლად ცენტრის ადმინისტრაციული პერსონალის, მოწვეული პროფესიული განათლების მასწავლებლების, ცენტრის ინსტრუქტორების, პროფესიულ სტუდენტის (საჭიროების შემთხვევაში, მათ წარმომადგენელზე) და ცენტრის მსმენელზე.
- 1.4. ტრენინგ ცენტრი იცავს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, უზრუნველყოფს დისკრიმინაციის, შევიწროებისა და ჩაგვრისაგან თავისუფალ გარემო პირობებს.
- 1.5. დასაქმებული ვალდებულია დაიცვას შინაგანაწესის მოთხოვნები. იმ საკითხებს, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე შინაგანაწესით, აწესრიგებს საქართველოს შრომის კოდექსი.
- შინაგანაწესი წარმოადგენს 1.6. ცენტრში დასაქმეზულ ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროფესიული განათლების მასწავლებელთან, პროფესიულ სტუდენტთან/ მსმენელთან (მათ შორის წარმომადგენელთან) მათ კანონიერ ინსტრუქტორთან დადებული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, თუ ამავე ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი.
- 1.7. შინაგანაწესის მიზანია:

#### 1. General provisions

- 1.1. "Meridian Maritime Training Center" (hereinafter referred to as "the Center") internal regulations (hereinafter referred to as "internal regulations") internal regulations are developed in accordance with the Organic Law of Georgia "Labor Code of Georgia", the General Administrative Code of Georgia, the Organic Law of Georgia "On Labor Safety". In accordance with the Law of Georgia "On Professional Education", other valid legislative acts, regulatory rules and the training center's charter.
- 1.2. For purposes of this statute, the term center includes the Naval Training and Certification Center and College Meridian.
- 1.3. The charter applies to and is mandatory for the administrative staff of the center, visiting teachers of professional education, instructors of the center, professional students (if necessary, their representative) and students of the center.
- 1.4. The training center protects basic human rights and freedoms defined by Georgian legislation, provides environmental conditions free from discrimination, harassment and oppression.
- 1.5. The employee is obliged to follow the requirements of the bylaws. The issues that are not regulated by the present by-laws are regulated by the Labor Code of Georgia.
- 1.6. The bylaws are an integral part of the contract with the administrative staff employed at the center, vocational education teacher, professional student/trainee (including their legal representative) and the instructor, unless otherwise stipulated in the same contract.
- 1.7. The purpose of the bylaws is to:
- a) Facilitating the full implementation of the functions assigned to the employee.
- b) ensuring protection of labor discipline.
- c) Establishing a conscientious attitude to the work of employed persons.
- d) rational use of working time.
- e) Increasing the efficiency of the performance of official duties.
- f) Facilitating the performance of the tasks assigned to the administrative staff, professional education teacher, professional



- ა) დასაქმებულისათვის დაკისრებული ფუნქციების სრულყოფილად განხორციელებაში ხელშეწყობა;
- ბ) შრომის დისციპლინის დაცვის უზრუნველყოფა; გ)დასაქმებულ პირთა შრომისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების დამკვიდრება;
- დ) სამუშაო დროის რაციონალური გამოყენება;
- ე) სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების ეფექტიანობის ზრდა;
- ვ) ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებელის, პროფესიულ სტუდენტის/ მსმენელის და ინსტრუქტორისათვის დაკისრებული ამოცანების შესრულების ხელშეწყობა, სასწავლო საწვრთნელი გარემოს, აგრეთვე შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი პირობების შექმნა;
- ზ) სამუშაო და სასწავლო დროის რეგულირება და რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფა;
- თ) დასაქმებულთა, პროფესიულ სტუდენტთა/ მსმენელთა უფლებებისა და თავისუფლებების ხელშეწყობა;
- ი) დასაქმებულთა, პროფესიულ სტუდენტთა/ მსმენელთა მიერ ეთიკური ნორმების უზრუნველყოფა.

#### 1.8. შინაგანაწესით განისაზღვრება:

- ა) სამუშაო დრო და შესვენების დრო;
- ბ) ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი;
- გ) ხელფასის და სამივლინებო თანხის გაცემის წესი;
- დ) დასაქმებულ პირთა მიერ შვებულების გამოყენების წესი და პირობები;
- ე) დასაქმებულ პირთა მივლინების გაფორმების წესი;
- ვ) დასაქმებულ პირთა მიერ სამსახურში გამოუცხადებლობის შეტყობინების წესი;
- ზ) ცენტრის ძირითადი უფლებები და ვალდებულებები;
- თ) დასაქმებულ პირთა უფლებები და ვალდებულებები;
- ი) შრომის დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ზოგადი ინსტრუქციები;
- კ) დასაქმებული პირის პასუხისმგებლობა ცენტრისმატერიალურ ფასეულობებთან დაკავშირებით;
- ლ) დასაქმებულთა წახალისების სახეები და მათი გამოყენების წესი;
- მ) დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენების წესი და პროცედურა;
- ნ) დასაქმებულთა სამსახურიდან გათავისუფლების წესი;
- ო) კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის საკითხები;
- პ) კომუნიკაცია მასმედიასთან;
- ჟ) ინტერესთა კონფლიქტი და კონკურენციის აკრძალვა;
- რ) ინტელექტუალური საკუთრება;

- student/trainee and instructor, creating a learning and training environment, as well as safe and healthy working conditions.
- g) regulation of working and study time and provision of rational
- h) Promoting the rights and freedoms of employees, professional students/trainees.
- i) Ensuring ethical norms by employees, professional students/trainees.
- 1.8. By-laws define:
- a) Working time and break time.
- b) Overtime payment rules.
- c) Rules for issuing salary and travel allowance.
- d) the rules and conditions of using leave by employed persons.
- e) Rules for issuing business trips of employed persons.
- f) The procedure for reporting non-appearance at work by employed persons.
- g) The main rights and obligations of the center.
- h) rights and obligations of employed persons;
- i) General instructions on labor protection and fire safety.
- j) Responsibility of the employed person regarding the center's material values.
- k) Types of incentives for employees and the manner of their use.
- m) the manner and procedure of applying disciplinary responsibility.
- n) the rule of dismissal of employees.
- n) Confidential information protection issues.
- p) communication with mass media;
- p) conflict of interest, non-competition and confidentiality;
- r) intellectual property;
- s) Obligations and responsibilities of persons released from the center.
- 1.9. By the agreement between the parties, it is possible to define rules different from the bylaws, no matter what worsens the situation of the employed person and the professional student/trainee, the legal representative. At such times, the provisions agreed upon in the labor contract shall apply.
- 1.10. If the norms defined by the by-laws and the contract only supplement and do not replace each other, all norms remain valid and are considered as one contract, and if they change, the norm signed with the latest date takes precedence.
- 1.11. In case of violation of the by-laws and other labor regulatory rules or orders of the college, appropriate disciplinary action will be taken against the employed administrative staff, professional student/trainee.
- 1.12. The director of the center is authorized to apply disciplinary measures in case of violation of internal regulations by administrative staff, professional students/trainees.
- 1.13. The human resources management manager of the center is responsible for introducing the bylaws to the person employed

ND2-03

მალაშია/Valid from: 01.09.2021

რევიზიის თარიღი/Revision Date: 19.02.2024

რევიზია/Revision: N3



- ს) ცენტრიდან გათავისუფლებული პირების ვალდებულებანი და პასუხისმგებლობები.
- 1.9. მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით შესაძლებელია განისაზღვროს შინაგანაწესისგან განსახვავებული წესები, რაც არ უნდა აუარესებდეს დასაქმებული პირის და პროფესიული სტუდენტის/ მსმენელის, კანონიერი წარმომადგენლის მდგომარეობას. ასეთ დროს მოქმედებს შრომითი ხელშეკრულებით შეთანხმებული დებულებები.
- 1.10. თუ შინაგანაწესით და ხელშეკრულებით განსაზღვრული ნორმები მხოლოდ ავსებენ და არ ცვლიან ერთმანეთს, ყველა ნორმა ინარჩუნებს ძალას და განიხილება, როგორც ერთი ხელშეკრულება, ხოლო თუ ცვლიან, უპირატესობა ენიჭება უახლესი თარიღით გაფორმებულ ნორმას.
- 1.11. შინაგანაწესისა და ცენტრის სხვა შრომითი მარეგულირებელი წესებისა ან და ბრძანებების მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში, დასაქმებული ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიმართ გამოყენებული იქნება შესაბამისი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა.
- 1.12. ცენტრის დირექტორი უფლებამოსილია ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ შინაგანაწესის დარღვევის შემთხვევაში გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები.
- 1.13. ცენტრში დასაქმებული პირისთვის, პროფესიული სტუდენტისთვის/მსმენელისთვის, მისი კანონიერი წარმომადგენლისთვის შინაგანაწესის გაცნობა ევალება ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერს.
- 1.14. ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი დასაქმებულ პირებს აცნობს ცენტრის შინაგანაწესს, მისიას, დებულებას, სტრატეგიის დოკუმენტს, უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესს, ხოლო, სამუშაო აღწერილობას და მომსახურების ან შრომით ხელშეკრულებას პერსონალი თანამდებობაზე დანიშვნისას/აყვანისას აწერს ხელს.

at the center, to the professional student/trainee, to his legal representative.

1.14. The human resources management manager informs the employees of the center's bylaws, mission, regulation, strategy document, safety rules, and the staff signs the job description and service or labor contract upon appointment/recruitment.

#### შრომისა და დასვენების დრო, შვებულება, მივლინება და შრომის ანაზღაურება

#### 2. შრომითი რეგულაციები

2.1. დასაქმებულს ეცნობება ცენტრის სტრუქტურა, პერსონალის მართვის პოლიტიკა, ცენტრში არსებული ქცევის წესები, შინაგანაწესი და იმ პოზიციის თანამდებობრივი ინსტრუქცია, რომელზეც მუშაობს.

2.2. ცენტრი უზრუნველყოფს შრომის ჯანსაღ და უსაფრთხო პირობებს; შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების უზრუნველყოფა ეკისრება

### Working time and rest periods, vacation, business trip and remuneration

#### 2. Working regulations

- 2.1. Employee will be informed about the structure of the Centre, personnel management policy, rules of conduct in the Centre, internal regulations and job descriptions of the position he/she works for.
- 2.2. Centre provides healthy and safe working conditions; Ensuring healthy and safe working conditions is the responsibility of the administration, and the employee is obliged

ND2-O3

მალაშია/Valid from: 01.09.2021

რევიზიის თარიღი/Revision Date: 19.02.2024

რევიზია/Revision: N3



ადმინისტრაციას, ხოლო დასაქმებული ვალდებულია ხელი შეუწყოს ადმინისტრაციას შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი პირობების შენარჩუნებაში.

2.3. სამსახურეობრივ საკითხებზე ადმინისტრაციის მიერ მიღებული ადმინისტრაციული აქტების, ბრძანებებისა და სხვა ინფორმაციის გაცნობის მიზნით, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ტექნიკური საშუალებები: ელექტრონული ფოსტა, კომპანიის ONE DRIVE-ი, ტელეფონი და სხვა საშუალებები.

to assist the administration in maintaining safe and healthy working conditions in the Centre.

2.3. Technical means such as e-mail, company ONE DRIVE, telephone and other means may be used to share administrative acts, orders and other information adopted by the Administration on official matters.

# 3. შრომითი ურთიერთობის პრინციპები და დისკრიმინაციის ცნება

3.1. ცენტრში შრომითი ურთიერთობები ეფუძნება ცენტრსა დასაქმეზულის თანასწორობის, ურთიერთპატივისცემის, კეთილსინდისიერებისა კოლეგიალობის პრინციპებს. შრომით წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში, მათ შორის, ვაკანსიის შესახებ განცხადების გამოქვეყნებისას და შერჩევის ეტაპზე. ცენტრში დასაქმებული პირების, პროფესიული მასწავლებელის, ინსტრუქტორის, პროფესიული სტუდენტების და მსმენელების მიმართ აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია, განზრახ ან გაუფრთხილებლობით პირის განსხვავება ან გამორიცხვა ან მისთვის უპირატესობის მინიჭება რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი ან მდგომარეობის, წოდებრივი შრომითი ხელშეკრულების სტატუსის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შესაძლებლობის, ჯანმრთელობის შეზღუდული მდგომარეობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი (მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი) კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო ან სხვა ნიშნით, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს დასაქმებასა და პროფესიულ საქმიანობაში თანაბარი შესაძლებლობის ან მოპყრობის უარყოფას ან ხელყოფას.

- 3.2. პირდაპირია დისკრიმინაცია, როდესაც ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო პირის მიმართ ხორციელდება არათანაბარი მოპყრობა სხვა პირთან შედარებით, რომელიც იმავე ან მსგავს მდგომარეობაში არის, იყო ან შეიძლებოდა ყოფილიყო უფრო ხელსაყრელი მოპყრობის ობიექტი.
- 3.3. ირიბია დისკრიმინაცია, როდესაც ნეიტრალური დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო პირს სხვა პირთან შედარებით არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი დებულება, კრიტერიუმი

#### 3. Principles of labor relations and the concept of discrimination

- 3.1. Labor relations in the center are based on the principles of equality, mutual respect, honesty and collegiality between the center and the employee. In labor and pre-contractual relations, including vacancies at the time of publication of the announcement and at the selection stage. It is prohibited to discriminate against persons employed in the center, professional teachers, instructors, professional students and trainees, intentionally or negligently differentiating excluding or giving preference to a person on the basis of race, skin color, language, ethnic or social affiliation, nationality, origin, property or rank., because of employment contract status, place of residence, age, gender, sexual orientation, disability, state of health, affiliation to a religious, public, political or other association (including a professional union), marital status, political or other opinion or on other grounds, which has the purpose or effect of denying or interfering with equal opportunity or treatment in employment or professional activity.
- 3.2. Direct discrimination is when, due to any of the signs provided for in the first paragraph of this article, a person is treated unequally compared to another person who is in the same or similar situation, was or could have been the object of more favorable treatment.
- 3.3. Indirect discrimination, when a neutral provision, criterion or practice puts a person at a disadvantage compared to another person due to any of the signs provided for in the first paragraph of this article, unless such provision, criterion or practice is objectively justified by a legal purpose
- and the means used to achieve this goal are necessary and proportionate.
- **3.4**. The employer is obliged to provide equal pay for male and female employees in case of equal work performance.
- 3.5. Harassment in the workplace (including sexual harassment) is a form of discrimination, in particular, unwanted behavior towards a person based on any of the signs provided for in the first paragraph of this article, which

Aims or causes to harm his dignity and create an intimidating, hostile, humiliating, degrading or insulting environment for him.

ND2-O3

მალაშია/Valid from: 01.09.2021

რევიზიის თარიღი/Revision Date: 19.02.2024

რევიზია/Revision: N3



- ან პრაქტიკა ობიექტურად არის გამართლებული კანონიერი მიზნით და გამოყენებული საშუალებები ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელი და თანაზომიერია.
- 3.4. დამსაქმებელი ვალდებულია ქალი და მამაკაცი დასაქმებულების მიერ თანაბარი სამუშაოს შესრულების შემთხვევაში უზრუნველყოს მათთვის თანაბარი შრომის ანაზღაურების გადახდა.
- 3.5. სამუშაო ადგილზე შევიწროება (მათ შორის, სექსუალური შევიწროება) არის დისკრიმინაციის ფორმა, კერძოდ, პირის მიმართ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნით განპირობებული არასასურველი ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისი ღირსების შელახვას და მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.
- 3.6. აკრძალულია დასაქმებულისთვის შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა ან/და დასაქმებულის მიმართ ნებისმიერი სახის უარყოფითი მოპყრობა და მასზე ზემოქმედება იმის გამო, რომ დასაქმებულმა დისკრიმინაციისგან დასაცავად განცხადებით ან საჩივრით მიმართა შესაბამის ორგანოს ან ითანამშრომლა მასთან.

3.6. It is prohibited to terminate the employment contract for the employee and/or to treat the employee in any negative way and to influence him because the employee filed a statement or complaint with the relevant authority or cooperated with it.

### 4. შინაგანაწესის შესრულების კონტროლი

- 4.1. ცენტრში შინაგანაწესის შესრულების კონტროლს ახორციელებს ადამიანური რესურსების მენეჯერი და სასწავლო და ადმინისტრაციული საქმიანობის წარმართვაზე პასუხისმგებელი პირები, სასწავლო პროცესის სპეციალისტი, ცენტრში წესრიგსა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები თავისი კომპეტენციის ფარგლებში.
- 4.2. დასაქმებულის მიერ შინაგანაწესის შესრულების კონტროლს ახორციელებს მისი უშუალო უფროსი (არსებობის შემთხვევაში) და ცენტრის დირექტორი.
- 4.3. შინაგანაწესის კონტროლი ითვალისწინებს:
- s) ადმინისტრაციული პერსონალის ცენტრში გამოცხადებისა და წასვლის მონიტორინგს.
- ბ) პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ცენტრში გამოცხადებისა და წასვლის მონიტორინგს.
- გ) შინაგანაწესით, შრომითი ხელშეკრულებით, სასწავლო ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს.
- 4.4. შინაგანაწესის შესრულების მონიტორინგის შედეგები წარედგინება ცენტრის დირექტორს, რომელიც უფლებამოსილია შინაგანაწესის ნორმების დარღვევის შემთხვევაში გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები.

#### 4. Control of the implementation of the bylaws

- 4.1. The human resources manager and the persons responsible for conducting training and administrative activities, the training process specialist, the persons responsible for order and security in the center, within the scope of their competence, control the implementation of the bylaws in the center.
- 4.2. The employee's compliance with the bylaws is monitored by his immediate superior (if any) and the director of the center.
- 4.3. The control of internal regulations provides for:
- a) Monitoring of reporting and departure of administrative personnel to the center.
- b) monitoring of reporting and departure to the center of professional students/trainees.
- c) monitoring the fulfillment of obligations defined by the internal regulations, labor contract, training contract.
- 4.4. The results of the monitoring of the implementation of the bylaws are presented to the director of the center, who is authorized to apply disciplinary measures in case of violation of the bylaws.

# 5. ადმინისტრაციული პერსონალის სამსახურში მიღების ზოგადი წესი

#### 5. General rules for hiring administrative personnel

5.1. Requirements for the person employed in the center are:

ND2-O3

ძალაშია/Valid from: 01.09.2021

რევიზიის თარიღი/Revision Date: 19.02.2024

რევიზია/Revision: N3



- 5.1. ცენტრში დასაქმებული პირის მიმართ წაყენებული მოთხოვნებია:
- ა) ცენტრში დასაქმებული პირი შეიძლება იყოს 18 წლის ქმედუნარიანი პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი განათლება, კვალიფიკაცია და/ან პრაქტიკული გამოცდილება;
- ბ) ცენტრში დასაქმებული პირი უნდა ფლობდეს სახელმწიფო ენას.
- 5.2. ცენტრში დასაქმების მსურველთა მიღება ხორციელდება კანდიდატთან გასაუბრებით. შეიძლება კანდიდატის შერჩევისთვის ცენტრის დირექტორის ბრძანებით გამოცხადდეს კონკურსი.
- 5.3. დასაქმების მსურველი პირის სამუშაოზე მიღებასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ცენტრის დირექტორი, კონკურსი გამოცხადების დროს გადაწყვეტილებას იღებს საკონკურსო კომისია ხმათა უმრავლესობით.
- 5.4. პირის სამსახურში აყვანა ფორმდება წერილობითი ფორმით. კანდიდატთან იდება შრომითი ხელშეკრულება ქართულ ენაზე, (საწვრთნელი ცენტრის შემთხვევაში - ორ ენაზე), ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად გამოიცემა ცენტრის დირექტორის ინდივიდუალურსამართლებრივი აქტი. ხელშეკრულების თითოეული ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს. თანამშრომელი შრომითი ხელშეკულების გაფორმებამდე ეცნობა შინაგანაწესს, რასაც ადასტურებს ხელშეკრულებას ხელმოწერით.
- 5.5. სამსახურში თანამშრომლის აყვანა ხორცილდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე შინაგანაწესის საფუძველზე.

- a) A person employed in the center can be an able-bodied person of 18 years of age who has relevant education, qualification and/or practical experience;
- b) The person employed in the center must know the state language.
- 5.2. Applicants for employment at the center are accepted through an interview with the candidate. A competition may be announced for the selection of a candidate by the order of the director of the center.
- 5.3. The director of the center makes the final decision regarding the employment of the person who wants to be employed, the decision is made by the competition commission with the majority of votes during the announcement of the competition.
- 5.4. Employment of a person is formalized in writing. An employment contract is signed with the candidate in the Georgian language (in the case of a training center in two languages), in two copies with equal legal force, and an individual legal act of the director of the center is issued. Each copy of the Agreement shall be delivered to the Parties. Before signing the labor contract, the employee is informed of the bylaws, which he confirms by signing the contract.
- 5.5. Hiring an employee is carried out on the basis of the current legislation of Georgia and the present internal regulations.

### წინასახელშეკრულებო ურთიერთობა და ინფორმაციის გაცვლა შრომითი ხელშეკრულების დადებამდე

- 6.1. დამსაქმეზელს უფლება აქვს, მოიპოვოს ინფორმაცია, კანდიდატის შესახეზ გარდა ინფორმაციისა, რომელიც არ არის დაკავშირებული სამუშაოს შესრულებასთან და არ არის საჭირო კანდიდატის მიერ კონკრეტული სამუშაოს შესაძლებლობის შესაფასებლად შესრულების შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.
- 6.2. კანდიდატი ვალდებულია დამსაქმებელს აცნობოს ნებისმიერი გარემოების შესახებ, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს მას სამუშაოს შესრულებაში ან საფრთხე შეუქმნას დამსაქმებლის ინტერესებს.
- 6.3. დამსაქმებელს უფლება აქვს, შეამოწმოს კანდიდატის მიერ წარდგენილი ინფორმაციის სისწორე.

# 6. Pre-contractual relationship and exchange of information before concluding an employment contract

- 6.1. The employer has the right to obtain information about the candidate, except for the information that is not related to the performance of the job and is not necessary to evaluate the candidate's ability to perform a specific job and to make an appropriate decision.
- 6.2. The candidate is obliged to inform the employer about any circumstances that may prevent him from performing his work or endanger the interests of the employer.
- 6.3. The employer has the right to check the correctness of the information submitted by the candidate.
- 6.4. The information about the candidate obtained by the employer and the information submitted by the candidate cannot be made available to another person without the consent of the candidate, except for the cases stipulated by the legislation of Georgia.

ND2-O3

ძალაშია/Valid from: 01.09.2021

რევიზიის თარიღი/Revision Date: 19.02.2024

რევიზია/Revision: N3



- დამსაქმეზლის მიერ მოპოვეზული კანდიდატის 6.4. შესახეზ ინფორმაცია და კანდიდატის მიერ წარდგენილი ინფორმაცია არ შეიძლება კანდიდატის ხელმისაწვდომი თანხმობის გარეშე იყოს სხვა პირისთვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
- 6.5. კანდიდატს უფლება აქვს, გამოითხოვოს მის მიერ წარდგენილი დოკუმენტები, თუ დამსაქმებელმა არ დადო მასთან შრომითი ხელშეკრულება.
- 6.6. დამსაქმებელი ვალდებულია კანდიდატს მიაწოდოს შემდეგი ინფორმაცია:
- ა) შესასრულებელი სამუშაოს შესახებ;
- ბ) შრომითი ხელშეკრულების ფორმის (ზეპირი ან წერილობითი) (განსაზღვრული და ვადის განუსაზღვრელი) შესახებ;
- გ) შრომის პირობების შესახებ;
- შრომითი ურთიერთობისას დასაქმებულის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ;
- ე) შრომის ანაზღაურების შესახებ.
- 6.7. კანდიდატთან წინასახელშეკრულებო დასრულებულად ურთიერთობა მიიჩნევა დამსაქმებლის მიერ მასთან შრომითი ხელშეკრულების დადებით დასაქმეგაზე უარის შესახეზ ინფორმირებით.
- დამსაქმებელი არის ვალდებული, დაასაბუთოს 6.8. თავისი გადაწყვეტილება კანდიდატის დასაქმებაზე უარის თქმის თაობაზე.

- 7. ცენტრთან თანამშრომლობის გამომრიცხვი გარემოებები
- 7.1. ცენტრთან თანამშრომლობის გამომრიცხვი გარემოებებია:
- ა) სასამართლო განაჩენის ან სხვა გადაწყვეტილების კანონიერ მალაში შესვლა, რომელიც სამუშაოს შესრულების შესაძლებლობას გამორიცხავს;
- მიერ შესაბამისი საქმიანობის ბ) სასამართლოს უფლების ჩამორთმევა;
- გ) "სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე ჩამოერთვა აღნიშნულ დაწესებულებაში საქმიანობის უფლება;
- დ) კანონდებლობით დადგენილი სხვა ობიექტური გარემოება.

- 7. Circumstances excluding cooperation with the center
- 7.1. Circumstances excluding cooperation with the college are: a) entry into legal force of a court judgment or other decision, which excludes the possibility of performing work;

6.5. The candidate has the right to request the documents submitted by him, if the employer has not concluded an

6.6. The employer is obliged to provide the candidate with the

b) about the form (oral or written) and term (definite or

d) about the legal status of the employee in the labor

6.7. The pre-contractual relationship with the candidate is

considered completed when the employer informs him about

the conclusion of the employment contract or the refusal of

6.8. The employer is obliged to justify his decision to refuse the

employment contract with him.

a) about the work to be performed;

c) about working conditions;

e) about labor remuneration.

employment of the candidate.

indefinite) of the employment contract;

following information:

relationship;

employment.

- b) Deprivation of the right to the relevant activity by the court;
- c) A person convicted of committing a crime against sexual freedom and inviolability or a person who was deprived of the right to work in the mentioned institution on the basis of the same law, provided for by the Law of Georgia "On Combating Crimes Against Sexual Freedom and Inviolability";
- d) other objective circumstances established by legislation.

#### 8. შრომითი ხელშეკრულება

8.1. შრომითი ურთიერთობა შრომის არის მოწესრიგების პირობებში ორგანიზებული

8. Labor contract

ძალაშია/Valid from: 01.09.2021

რევიზიის თარიღი/Revision Date: 19.02.2024



- დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ.
- 8.2. ცენტრსა და პერსონალს შორის შრომითი ხელშეკრულება იდება წერილობითი ფორმით: განსაზღვრული, განუსაზღვრელი ან სამუშაოს შესრულების ვადით.
- 8.3. დასაქმებულთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება (რომელიც შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსითა და შინაგანაწესით დადგენილ მოთხოვნებს). ასევე, პირის დანიშვნის შესახებ გამოიცემა შესაბამისი ბრძანება.
- 8.4. დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის შრომითი ურთიერთობები რეგულირდება მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებისა და ამ შინაგანაწესის საფუძველზე.
- 8.5. შრომითი ხელშეკრულება ითვალისწინებს თანამდებობის დასახელებას, დაკავებული დასაქმეზულის შესასრულებელ ვალდებულებებს, ხელშეკრულების მოქმედების ვადას, ანაზღაურების პირობებს, ხელშეკრულების შეწყვეტის წესებს, ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის წესსა და სხვა რომლებსაც ითვალისწინებს დებულებებს, საქართველოს შრომის კოდექსი.
- 8.6. ცენტრში ინსტრუქტორის სამსახურში აყვანის პირობები რეგულირდება "მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ საქართველოს კანონი"-ს შესაბამისად.

- 8.1. The labor relationship is the performance of work for the employer by the employee in the conditions of the organized arrangement of work in exchange for remuneration.
- 8.2. The labor contract between the center and the staff is concluded in written form: fixed, indefinite or for the period of performance of the work.
- 8.3. An employment contract is signed with the employee (which corresponds to the requirements established by the Labor Code of Georgia and internal regulations). Also, an appropriate order will be issued on the appointment of a person; 8.4. The labor relations between the employee and the employer are regulated on the basis of the agreement signed between the parties and these bylaws.
- 8.5. The labor contract provides for the name of the position held, obligations to be fulfilled by the employee, the term of the contract, terms of compensation, rules for terminating the contract, the procedure for making changes to the contract and other provisions provided for by the Labor Code of Georgia.
- 8.6. The conditions for hiring an instructor at the center are regulated in accordance with the "Law of Georgia on Education and Certification of Seafarers".

#### 9. უფლება-მოვალეობები:

#### 9.1. პერსონალს უფლება აქვს:

- ა) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი და შინაგანაწესით განსაზღვრული წესით გამოიყენოს შვებულება;
- ბ) გაწევრიანდეს სხვადასხვა პროფესიულ ან/და სამეცნიერო ხასიათის კანონით ნებადართულ გაერთიანებაში;
- გ) ისარგებლოს დასვენებით სამუშაო დღის განმავლობაში, დასვენებისა და უქმე დღეებში;
- დ) უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოს;
- ე)ისარგებლოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა უფლებებითა და თავისუფლებებით;
- ც) სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომის ანაზღაურება;
- ზ) დადგენილი წესის შესაბამისად მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია მისი სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად;
- თ) მიიღოს მისი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები და პირობები; ი) აიმაღლოს კვალიფიკაცია და პროფესიული უნარი;

#### 9. Rights and duties:

Rights and obligations:

- 9.1. The staff has the right to:
- a) to use leave in the manner established by the current legislation of Georgia and determined by the internal regulations;
- b) join various professional and/or scientific associations permitted by law;
- c) to enjoy rest during the working day, on rest days and weekends;
- d) apply to the court to protect rights and freedoms;
- e) enjoy other rights and freedoms established by legislation;
- f) to receive remuneration from the day of employment until the day of dismissal.
- g) to request and receive information in accordance with the established rules for the exercise of his official authority.
- h) to receive the necessary material and technical means and conditions for the performance of its functions.
- i) to increase qualification and professional ability.
- j) to protect his professional dignity and rights.
- k) to have a working environment in which he does not experience harassment or hostility.
- m) to refuse to perform the work or instruction that is against the law, violates the dignity or because of the safety conditions of

ND2-O3

ძალაშია/Valid from: 01.09.2021

რევიზიის თარიღი/Revision Date: 19.02.2024

რევიზია/Revision: N3



- კ) დაიცვას თავისი პროფესიული ღირსება და უფლებები;
- ლ) ჰქონდეს სამუშაო გარემო, რომელშიც იგი არ განიცდის შევიწროებას ან მტრულ დამოკიდებულებას;
- მ) უარი განაცხადოს იმ სამუშაოს ან მითითების შესრულებაზე, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს, ულახავს ღირსებას ან შრომის შრომის უსაფრთხოების პირობების გამო საფრთხეს უქმნის მის ან მესამე პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ცენტრის საკუთრებას.
- ნ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შეარჩიოს თავის საქმიანობის შესრულების მეთოდი და საშუალებები.

#### 9.2. პერსონალი ვალდებულია:

- s) პატივისცეს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებს და ღირსებებს;
- ბ) გაეცნოს შინაგანაწესს და შრომითი ურთიერთობის სხვა მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებს, წესებს.
- გ) დაიცვას ეთიკური ნორმები, არ განახორცელოს ცენტრის დისკრედიტაციისაკენ მიმართული უღირსი საქციელი;
- გ) გამოცხადდეს სამუშაო ადგილზე ფხიზელ მდგომარეობაში (დაუშვებელია ალკოჰოლური და ნარკოტიკული თრობის მდგომარეობაში გამოცხადება.);
- დ) მოქალაქეებთან, ვიზიტორებთან და თანამშრომლებთან ურთიერთობისას დაიცვას ეთიკის ნორმები, გააცნოს საკუთარი თავი, დაკავებული თანამდებობა, იყოს ყურადღებიანი და ზრდილობიანი;
- ე) არ გაავრცელოს პერსონალური ინფორმაცია, როგორც სამსახურებრივი ურთიერთობებისას, ისე შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ;
- ვ) არ გამოიყენოს პერსონალური ინფორმაცია არასამსახურებრივი მიზნებისათვის, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებით;
- ზ) დაიცვას საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები;
- თ) დაიცვას კომპანიის წესდებისა და წინამდებარე შინაგანაწესის მოთხოვნები;
- ი) გაუფრთხილდეს კომპანიისს ქონებას;
- კ) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
- ლ) დროულად გამოცხადდეს და შეასრულოს დაკისრებული მოვალეობანი.
- მ) მონაწილეობა მიიღოს ცენტრის საქმიანობაში, ღონისძიებებში, შეფასება და გამოკითხვებში;
- ნ) იზრუნოს პროფესიულ განვითარებაზე,თანამშრომლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან

- labor, endangers his or a third person's life, health and property of the center.
- n) to select the method and means of performing his activities within his own competence.
- 9.2. The staff is obliged to:
- a) respect the universally recognized human rights, freedoms and dignity;
- b) to get acquainted with the by-laws and other regulatory legal acts and rules of labor relations.
- c) to follow ethical norms, not to engage in unworthy behavior aimed at discrediting the center;
- c) to report to the workplace in a sober state (it is not allowed to report to the workplace under the influence of alcohol or drugs);
- d) when dealing with citizens, visitors and employees, to follow the norms of ethics, to introduce oneself, the position held, to be attentive and polite;
- e) not to distribute personal information, both during the service relationship and after the termination of the labor relationship;
- f) not to use personal information for non-business purposes, as well as other information that became known to him in connection with the performance of official duties;
- g) to comply with the requirements of Georgian legislation;
- h) to follow the requirements of the company's charter and these bylaws;
- i) take care of the company's property;
- j) to fulfill the obligations under the labor contract.
- k) to appear on time and perform assigned duties.
- m) participate in the center's activities, events, evaluations and surveys;
- n) to take care of professional development, to follow ethical and moral norms with employees, professional students/trainees and citizens.
- n) within the scope of his competence, to discuss issues related to the activity of the center and make appropriate decisions.
- p) to refrain from such actions at work that may prevent another employed person from performing his/her work properly.
- j) to help newly qualified colleagues to adapt to the work environment, to share knowledge and experience with colleagues with less experience.
- r) to ensure proper storage and protection of official documents and material property entrusted to him.
- s) In case of arrest or detention, or if a preliminary investigation, criminal prosecution or court proceedings are being conducted against him, he should immediately inform his immediate supervisor and the director of the center.
- t) immediately inform the director of the center or the immediate supervisor about the possible non-fulfillment of his work. Make every effort to immediately eliminate the causes and conditions that prevent or complicate normal work and immediately report the incident to the employer.



- /მსმენელებთან და მოქალაქეებთან დაიცვას ეთიკური და ზნეობრივი ნორმები.
- ო) თავის კომპეტენციის ფარგლებში განიხილოს ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები.
- პ) სამსახურში თავი შეიკავოს ისეთი ქმედებისგან, რომელმაც ხელი შეიძლება შეუშალოს სხვა დასაქმებულ პირს თავის სამუშაოს ჯეროვნად შესრულებას.
- ჟ) დაეხმაროს ახალ დასამქებულ კოლეგას სამუშაო გარემოსთან ადაპრაციაში, ნაკლები გამოცდილების მქონე კოლეგებს გაუზიაროს ცოდნა და გამოცდილება.
- რ) უზრუნველყოს მისთვის მინდობილი სამსახურეობრივი დოკუმენტაციის, მატერიალური ქონების სათანადო წესით შენახვა და დაცვა.
- ს) დაპატიმრების ან დაკავების შემთხვევაში, ან თუ მის მიმართ მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება, სისხლის სამართლებრივი დევნა ან სასამართლო საქმის წარმოება, აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს უშუალო ხელმძღვანელს და ცენტრის დირექტორს.
- ტ) დაუყოვნებლივ შეატყობინოს ცენტრის დირექტორს ან უშუალო ხელმძღვანელს თავისი სამუშაოს შესაძლო შეუსრულებლობის შესახებ. ყველა ღონე იხმაროს, რათა სასწრაფოდ იქნას აღმოფხვრილი ის მიზეზები და პირობები, რომელიც ხელს უშლის ან ართულებს ნორმალურ მუშაობას და დაუყოვნებლიც შეატყობინოს დამსაქმებელს მომხდარის შესახებ.
- უ) დროულად შეატყობინოს დამსაქმებელს ავადმყოფობის შესახებ და სამსახურში არყოფნის სავარაუდო დროის შესახებ.
- ფ) დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამისი კომპეტენციის სამუშაო მქონე პირს სივრცეში წარმოქმნილი ტექნოლოგიური თუ სხვა სახის საფრთხის აღმოჩენის შეიძლება საფრთხე შესახებ, რამაც შეუქმნას თანამშრომელთა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, ან გამოიწვიოს ცენტრის მატერიალური ქონეზის დაზიანება.
- ქ) თამბაქო მოიხმაროს მხოლოდ სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე და არ დაუშვას თამბაქოს მოხმარება ცენტრის დახურულ სივრცეში.
- ღ) დაიცვას სამსახურებრივი დაქვემდებარების სიტემა ცენტრში მოქმედი სტრუქტურის შესაბამისად.
- ყ) ცენტრის შენობაში ყოფნისას და შეხვედრებზე დასწრებისას, რომლებზეც წარმოადგენს ცენტრს, დაიცვას ჩაცმის ოფიციალური სტილი, პირადი ჰიგიენა, ჰქონდეს მოწესრიგებული წვერი და თმის ვარცხნილობა.
- 9.3. დამსაქმებელი უფლებამოსილია:

- u) to notify the employer about the illness and the estimated time of absence from work.
- f) to immediately inform the person with the relevant competence about the discovery of technological or other type of danger in the work space, which may endanger the life and health of the employees, or cause damage to the center's material property.
- k) To consume tobacco only in a specially designated place and not to allow tobacco consumption in the closed space of the center.
- g) to protect the system of official subordination in accordance with the structure operating in the center.
- k) While staying in the building of the center and attending meetings at which he represents the center, he must follow the official style of dress, personal hygiene, have a neat beard and hairstyle.
- 9.3. The employer is entitled to:
- a) to require the employee in the labor contract, job description and
- Performing the functions assigned to him by other internal legal acts.
- b) to demand the fulfillment of labor regulations.
- c) in the cases established by law, to instruct the employee to work overtime

performance.

- d) to encourage the employee and apply incentive measures to him. If necessary, apply for disciplinary measures.
- e) to carry out an evaluation of the skills and abilities of the employee, whose conditions, evaluation criteria, and forms will be known to the employee in advance.
- f) periodically monitor the employee's work performance process.
- g) transfer the employee to another position based on his professional interests.
- h) based on his professional interests, to require the employee to perform tasks within the established limits and manner, which are not directly considered by the labor contract, but their performance corresponds to the qualification and/or professional training of the employee, if it does not violate the rights and dignity of the employee.
- i) to request the fulfillment of the rules and regulatory norms established by legal acts in the center.
- 9.4. The employer is obliged to:
- a) to create working conditions safe for life and health of the employee.
- b) to provide the employee with material and technical means necessary for work.
- c) to provide professional students and trainees with material and technical means necessary for learning.



- ა) მოსთხოვოს დასაქმებულს შრომითი ხელშეკრულებით, სამუშაო აღწერილობითა და სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით მასზე დაკისრებული ფუნქციების შესრულება;
- ბ) მოსთხოვოს შრომის შინაგანაწესის შესრულება;
- გ) კანონით დადგენილ შემთხვევებში, დაავალოს დასაქმებულს ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულება;
- დ) წაახალისოს დასაქმებული და გამოიყენოს მის მიმართ წახალისების ღონისძიებანი. საჭიროების შემთხვევაში მიმართოს დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიებებს;
- ე) განახორციელოს დასაქებულის უნარ-ჩვევების და საქამიანობის შეფასება, რომლის პირობები, შეფასების კრიტერიუმები, ფორმები წინასწარ ცნობილი იქნება დასაქმებულისთვის;
- ვ) პერიოდულად გააკონტროლოს დასაქმებულისსამუშაოს შესრულების პროცესი;
- ზ) სამსახურებრივი ინტერესებიდან გამომდინარე გადაიყვანოს დასაქმებული სხვა თანამდებობაზე;
- თ) სამსახურებრივი ინტერესებიდან გამომდინარე მოსთხოვოს დასაქმებულს დადგენილ ფარგლებში და წესით იმ დავალებათა შესრულება, რომელიც პირდაპირ არ არის გათვალისიწნებული შრომითი ხელშეკულებით, მაგრამ მათი შესრულება შეესაბამება დასაქმებულის კვალიფიკაციასა და/ან პროფესიულ მომზადებას, თუ ის არ ლახავს დასაქმებულის უფლებებსა და ღირსებას;
- ი) მოითხოვოს ცენტრში სამართლებრიივი აქტებით დადგენილი წესების და მარეგულირებელი ნორმების შესრულება.

#### 9.4. დამსაქმებელი ვალდებულია:

- ა) დასაქმებულს შეუქმნას სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო შრომის პირობები;
- ბ) უზრუნველყოს თანამშრომელი შრომისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით.
- გ) უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტები და მსმენელები სწავლისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით;
- დ) განსაზღვროს სამუშაო აღწერილობები და თანამშრომელთა შრომის ფუნქციები გადაანაწილოს იმგვარად, რომ თითოეულ მათგანს ნათლად ჰქონდეს განსაზღვრული დღის განმავლობაში შესასრულებელი სამუშაო;
- ე) უზრუნველყოს დასაქმებულის და პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მხრიდან შრომის დისციპლინის განახორციელოს დაცვა, ორგანიზაციული და სხვა ღონისსძიებები, რომელიც მიმართული იქნება შრომის რესურსების რაციონალური გამოყენების, სამუშაო დროის

- d) define job descriptions and distribute the work functions of employees in such a way that each of them has a clearly defined day
- during the work to be done.
- e) to ensure the observance of labor discipline on the part of the employee and professional student/trainee, to implement organizational and other measures aimed at the rational use of labor resources, reduction of working time loss, strengthening and development of human resources.
- f) to ensure equal access to the employee's career advancement and development, to promote the growth of the employee's qualifications.
- g) to promote the creation of a business, learning and creative environment at work.
- h) to develop the employee's initiative and activity so that all employees participate equally in the progress and development of the center's activities.
- i) in the event of an emergency situation (wars, natural disasters, viral infections, epidemic outbreaks, etc.) in the country, in order to protect the health and safety of employees, to implement and operate in the center in accordance with the action plan in emergency situations, and depending on the situation, to carry out appropriate measures to ensure the health and safety of employees Preventive measures.
- j) to ensure the equipment of the working environment with a technically sound inventory, to provide instructions to the employees about the safety norms established for the operation of the inventory and office equipment given to them.
- k) to ensure the arrangement of sleeping spaces with appropriate inventory. To ensure replenishment of the library fund with relevant literature necessary for the educational process.
- m) to ensure the involvement of the center's employees and professional students/trainees in various educational, cognitive, sports events, Olympiads and conferences.
- n) on professional employment of Izrino graduates.
- n) not to allow and prevent the manifestation and existence of facts of discriminatory content among employees, professional students/trainees.
- p) not to allow and prevent the manifestation and existence of harassment, including sexual harassment, among employees and professional students/trainees.
- h) apply disciplinary measures to employees and professional students/trainees who violate the regulations approved by the internal regulations and other legal acts.
- r) to provide timely information of employees, professional students/trainees in case of adoption of new regulations.
- s) to receive and consider the employees' statements, report cards and complaints in accordance with the applicable legislation, to inform them of the decision made within the established period.

ND2-O3

მალაშია/Valid from: 01.09.2021

რევიზიის თარიღი/Revision Date: 19.02.2024

რევიზია/Revision: N3



- დანაკარგის შემცირების, ადამიანური რესურსების გაძლიებებისა და განვითარებისათვის.
- ფზრუნველყოს დასაქმებულის კარიერული წინსვლისა და განვითარების თანაბარი ხელმისაწვდომობა, ხელი შეუწყოს დასაქმებულის კვალიფიკაციის ზრდას;
